

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული ასპექტები

მ.ელიზბარაშვილი, რ.მაისურაძე, თ.ხარბიანი

ელ-ფოსტა: mariam.elizbarashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ჭავჭავაძის გამზ. #1, თბილისი, 0179, საქართველო

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა არის მრავალმხრივი და კომპლექსური ცნება. უპირველეს ყოვლისა ის უკავშირდება გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. გაცილებით ფართო განსაზღვრება მოიცავს გეოგრაფიულ, დროით, ფინანსურ, კულტურულ და ციფრულ განზომილებას.

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა განისაზღვრება პუნქტებს შორის მანძილით ან მგზავრობისათვის საჭირო დროით, და სერვისების რაოდენობით პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობასთან შედარებით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შესაფასებლად მანძილთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს სერვისამდე მგზავრობის დროს.

დროითი ხელმისაწვდომობა მოიცავს მომსახურებისათვის საჭირო დროს, ან მკურნალობაზე დახარჯურ დროს.

ეკონომიკური ან ფინანსური წვდომა ეხება პაციენტისათვის მომსახურების მიღების ფინანსურ შესაძლებლობას, დაზღვევის ქონას და ა.შ.

სოციალური თუ კულტურული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ითვალისწინებს სერვისის მიღებისას სოციალურ ნორმებს ან ენობრივ ბარიერებს.

ციფრული წვდომა ეხება თანამედროვე ინოვაციებს ელექტრონული ჯანდაცვის ტექნოლოგიებში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ჯანდაცვის სფეროებში.

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მიიჩნევა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეფასების საფუძვლად. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა შეიძლება გაიზარდოს დაბალი გეოგრაფიული წვდომის ადგილების იდენტიფიცირების, ჯანდაცვის ობიექტების გახსნის, დახურვის ან გადაადგილების გზით. შესაბამისად, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზუსტი და დეტალური ცოდნა მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის.

სოციალური, ეკონომიკური და გარემოს ფაქტორები გავლენას ახდენს გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ძალზე შეზღუდულია სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის - დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებისათვის, ეთნიკური უმცირესობისათვის, ხანდაზმული ადამიანებისათვის, განათლების არ მქონე პირებისათვის და ა.შ..

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კვლევისას ითვალისწინებენ დაშვებას, რომ ყოველი ადამიანი ერთნაირ საშუალო სამოგზაურო პირობებში იმყოფება, ამგვარად არ ითვალისწინებენ იმ ფაქტორებს რაც მოგზაურობის ხანგრძლივობას ცვლის, მაგალითად კლიმატს თუ სხვა გარემო პირობებს. მიგვაჩნია, რომ გარემო პირობები მაგალითად მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა, კლიმატური პირობები გავლენას ახდენს მგზავრობის ხანგრძლივობაზე. შესაბამისად, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა შეფასებული უნდა იქნეს უფრო ფართო გაგებით.

ლიტერატურა:

- [1] Nicola T. Shaw, Geographical Information Systems and Health: Current State and Future Directions, *Healthc Informatics Research*. 18(2):88-96, 2012.
- [2] Fortney, John C., James F. Burgess, Hayden B. Bosworth, Brenda M. Booth, and Peter J. Kaboli. A Re-conceptualization of Access for 21st Century Healthcare. *Journal of General Internal Medicine* 26(2): 639–647, 2011.
- [3] Goodchild MF, Yuan M, Cova TJ. Towards a general theory of geographic representation in GIS. *International Journal of Geographical Information Science*, 21(3):239–260, 2007.
- [4] Cromley EK, McLafferty S: GIS and Public Health. New York: Guilford Press; 2002.
- [5] Arcury TA, Gesler WM, Preisser JS, Sherman J, Spencer J, Perin J. The Effects of Geography and Spatial Behavior on Health Care Utilization among the Residents of a Rural Region. *Health Services Research*, 40:135–156, 2005.
- [6] Paul L Delamater, Joseph P Messina, Ashton M Shortridge and Sue C Grady. Measuring geographic access to health care: raster and network-based methods, *International Journal of Health Geographics*, 11:15, 2012.
- [7] Comber, Alexis J., Chris Brunsdon, and Robert Radburn. A spatial analysis of variations in health access: linking geography, socio-economic status and access perceptions. *International Journal of Health Geographics* 10:44. 2011.
- [8] Koizumi, N., Kuno, E., Rothbard, A. “Distance Matters in Choice of Mental Health Program: Policy Implications for Reducing Racial Disparities in Public Mental Health Care” (*Administration and Policy in Mental Health and Mental Health Services Research*, November 2009, Vol. 36:424-431)